ადგილობრივი თვითმმართველობების სარეზერვო ფონდების ხარჯვა 2020 წელს

Supported by
Luminate
Building stronger societies

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

კვლევა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია Luminate-ის ფინანსური მხარ-დაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და ბლოგპოსტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Luminate-ის პოზიციას

შინაარსი

ადგილობრივი თვითმმართველობების სარეზერვო ფონდების ხარჯვა 2020 წელს ..... **Error! Bookmark not defined.**

ძირითადი მიგნებები..... 4

შესავალი 6

მუნიციპალიტეტები სარეზერვო ფონდის ყველაზე მაღალი დანახარჯებით 8

- თბილისი 8
- ბათუმი 11
- რუსთავი..... 12
- ქუთაისი 14

სხვა მუნიციპალიტეტების სარეზერვო ფონდების ხარჯვის მიმოხილვა 15

მუნიციპალიტეტთა სარეზერვო ფონდების ხარჯვის კატეგორიები 21

- კოვიდ-19 პანდემიასთან ბრძოლისთვის გამოყოფილი თანხები..... 22
- ფინანსური დახმარებისთვის გამოყოფილი თანხები..... 25
- სტიქიის ან სხვა უბედური შემთხვევების შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გამოყოფილი თანხები 26

კაპიტალური სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხები..... 28

დასკვნა 29

ძირითადი მიგნებები

- 2020 წელს, 54 მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 14.7 მილიონი ლარის ხარჯი.

- 2020 წელს, 54 მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯის 63% (9.26 მილიონი ლარი) 4 ყველაზე დიდი ქალაქის (თბილისი - 6.21 მილიონი ლარი, ბათუმი - 1.25 მილიონი ლარი, რუსთავი - 1.18 მილიონი ლარი, ქუთაისი - 620 ათასი ლარი) სარეზერვო ფონდზე მოდის.

- ქალაქ თბილისის სარეზერვო ფონდიდან ყველაზე დიდი თანხა (2,404,700 ლარი) მოხმარდა კორონა ვირუსით გამოწვეული დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებებს. მაგალითად, მერიის სისტემაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის, დაინფიცირებისაგან დამცავი საშუალებების შესაძენად ჯამში 724,064.20 ლარი დაიხარჯა.

- 2020 წელს, წინა წელთან შედარებით თბილისის სარეზერვო ფონდის 1.6 მილიონით ზრდის მიუხედავად, სარეზერვო ფონდიდან მოქალაქეთა სამედიცინო ხარჯების ანაზღაურება 26%-ით შემცირდა, რაც უმეტესწილად განპირობებულია COVID-19 გამოწვეული სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებზე მნიშვნელოვანი თანხის მიმართვით.

- ბათუმის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯებიდან 1.09 მილიონი ლარი მოხმარდა მოქალაქეთა მატერიალურ დახმარებებს, ხოლო 151.5 ათასი ლარი საკარანტინე სივრცეებიდან მოქალაქეთა ტრანსპორტირებას.

- 2020 წელს, რუსთავის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდი წინა წელთან შედარებით, 836 ათასი ლარით გაიზარდა, რაც უმეტესწილად კორონავირუსის პანდემიის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებზე დაიხარჯა.

- 2020 წელს ქუთაისის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის დაახლოებით 90% (555.9 ათასი ლარი) მოხმარდა მოქალაქეთა მატერიალურ დახმარებას.

- დანარჩენი 50 მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან 2020 წელს გაწეული ხარჯებიდან 28% (1.54 მილიონი ლარი) მოხმარდა პანდემიის ბრძოლის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებას, 23% (1.24 მილიონი ლარი) მოქალაქეთა მატერიალურ დახმარებას, 14% (744.2 ათასი ლარი) - სტიქიის ან სხვა უბედური შემთხვევების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, 8% (425.4 ათასი ლარი) სხვადასხვა კაპიტალურ ხარჯს, ხოლო დანარჩენი 27%-ის შემთხვევაში მიზნობრიობა სრულიად უცნობია.

- კორონავირუსის პანდემიის პირობებში, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მთელი რიგი მუნიციპალიტეტების სარეზერვო ფონდების ათვისების დაბალი მაჩვენებლები. მაგალითად, მცხეთის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან ხარჯი საერთოდ არ გაწეულა.

- 2020 წელს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებულია კაპიტალური პროექტები, რომლებზეც მითითებული მიზნობრიობიდან არ იკვეთება ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მისი გათვალისწინების შეუძლებლობა და შესაბამისად სარეზერვო ფონდიდან მისი დაფინანსების აუცილებლობა.

- მუნიციპალიტეტების მიერ სარეზერვო ფონდების განკარგვის შესახებ ინფორმაცია საბიუჯეტო დოკუმენტაციაში არაერთგვაროვნად აღირიცხება, რაც უმეტესწილად ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ასიგნებიდან, სხვა პროგრამულ კოდებზე თანხის გადატანის შემთხვევებს უკავშირდება.

- ცალკეული მუნიციპალიტეტების მიერ გასაჯაროებულია სარეზერვო ფონდების განკარგვის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი მონაცემები.

- მოქმედი კანონმდებლობა არ მოიცავს სარეზერვო ფონდების განკარგვასთან დაკავშირებულ მნიშნელოვან რეგულაციებს. აღნიშნული კი ქმნის ფინანსების არამიზნობრივი გამოყენებისა და საბიუჯეტო სახსრების დაუსაბუთებელი ხარჯვის რისკებს.

შესავალი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი მოიცავს სარეზერვო ფონდებს, რომელთა მიზანს წარმოადგენს წლის განმავლობაში წარმოქმნილი გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფარვა. სახელმწიფო ბიუჯეტის მსგავსად, სარეზერვო ფონდები გათვალისწინებულია ასევე ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულთა ბიუჯეტებში.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სარეზერვო ფონდი წარმოადგენს გაუთვალისწინებელ, საგანგებო და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებების დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრულ სახსრებს. შესაბამისად, სარეზერვო ფონდის მიზანია წლის განმავლობაში წარმოქმნილი ისეთი ხარჯების დაფარვა, რომელთა გათვალისწინებაც ობიექტური გარემოებების გამო შეუძლებელი იყო ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, მაგალითად, სტიქიური უბედურებები, ეპიდემიები, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფები. შესაბამისად, 2020 წელს კოვიდ-19 ვირუსის პანდემიით შექმნილი მდგომარეობა, წარმოშობდა სარეზერვო ფონდებიდან ვირუსთან ბრძოლისთვის გარკვეული ღონისძიებების დაფინანსების საჭიროებას.

IDFI-მ შეისწავლა 2020 წელს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულთა სარეზერვო ფონდების ხარჯვის პრაქტიკა. კვლევაში განხილული სარეზერვო ფონდების ხარჯვის ანალიზი ეყრდნობა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში ასახულ მონაცემებს. კვლევის ფარგლებში ასევე გამოყენებულია 2020 წლის სექტემბრის თვეში მუნიციპალიტეტებიდან სარეზერვო ფონდების მიმდინარე ხარჯების შესახებ მოთხოვნილი ინფორმაცია. 64 მუნიციპალიტეტიდან IDFI-ის მოთხოვნა სარეზერვო ფონდების შესახებ უპასუხოდ დატოვა 9 მუნიციპალიტეტმა. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება დაარღვიეს: ადიგენის, ახალქალაქის, ახმეტის, ბოლნისის, ლანჩხუთის, ლენტეხის, სიღნაღის, შუახევის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტთა მერიებმა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ 6 მუნიციპალიტეტის შემთხვევაში სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იყო არასრულყოფილად. მაგალითად, ჩოხატაურისა და წალკის მერიებმა IDFI-ს მიაწოდა მხოლოდ ღონისძიებების ჩამონათვალი, რაზეც მოხდა სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა, თუმცა არ იქნა მითითებული თითოეულ მათგანზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია. სხვა შემთხვევებში მუნიციპალიტეტების მიერ არ ხდებოდა სარეზერვო ფონდებიდან დახარჯული თანხების ზუსტი მიზნობრიობის მითითება.

კვლევის პროცესს ასევე მნიშვნელოვნად ართულებდა ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ 2020 წელს სარეზერვო ფონდებიდან გაწეული ხარჯების აღრიცხვის არაერთგვაროვანი პრაქტიკა. კერძოდ, 2020 წელს პანდემიის ფარგლებში ცალკეული მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში შეიქმნა საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული ღონისძიებების უზრუნველყოფის პროგრამა, სადაც თანხების გარკვეული ნაწილი მიემართა სარეზერვო ფონდის ასიგნებიდან. შედეგად, ახალი პროგრამის ფარგლებში სარეზერვო ფონდის რესურსით

გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია, არაერთგვაროვნად იყო ასახული როგორც ბიუჯეტის შესრულების ნარატიულ ანგარიშებში, ასევე IDFI-სთვის მოწოდებულ ინფორმაციაში.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, IDFI-მ კვლევის ფარგლებში გაანალიზა 54 მუნიციპალიტეტის მიერ სარეზერვო ფონდის რესურსით გაწეული ჯამში 14.7 მილიონი ლარის ოდენობის ხარჯების შესახებ ინფორმაცია. მათ შორის, 48 მუნიციპალიტეტის შემთხვევაში შესაძლებელი გახდა სარეზერვო ფონდებიდან გაწეული ხარჯების კატეგორიების მიხედვით დაყოფა. კერძოდ, ანალიზი მიმოიხილავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ფინანსური დახმარებისთვის გამოყოფილი თანხები, კოვიდ-19 პანდემიისთვის ბრძოლის თანხები, სტიქიის ან სხვა უბედური შემთხვევების შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გამოყოფილი თანხები, კაპიტალური სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხები და სხვა ხარჯები.

მუნიციპალიტეტები სარეზერვო ფონდის ყველაზე მაღალი დანახარჯებით

2020 წელს, 54 მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯის (14.7 მილიონი ლარი) 63% მოდის (9.26 მილიონი ლარი), 4 ყველაზე დიდი ქალაქის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდზე. კერძოდ, ქალაქ თბილისის სარეზერვო ფონდიდან 2020 წელს დაიხარჯა 6.21 მილიონი ლარი, ბათუმი - 1.25 მილიონი ლარი, რუსთავი - 1.18 მილიონი ლარი, ხოლო ქუთაისი - 620 ათასი ლარი.



თბილისი

2020 წელს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ სარეზერვო ფონდიდან გამოყო 6.4 მილიონი ლარი, საიდანაც ათვისებულია ჯამში 6.2 მილიონი ლარი.

სარეზერვო ფონდიდან ყველაზე დიდი თანხა, კერძოდ, 2.4 მილიონი ლარი მოხმარდა საქართველოში ახალი კორონა ვირუსით COVID-19 გამოწვეული დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებას. მათ შორის:

- **724 ათასი ლარი** - COVID-19-ით გამოწვეული დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში დასაქმებული თანამშრომლებისათვის დაინფიცირებისაგან დამცავი საშუალებების შეძენა.
- **170.7 ათასი ლარი** - სამედიცინო პერსონალისა და საკარანტინე ზონებში მყოფი მოქალაქეების ტრანსპორტირება.

- **80 ათასი ლარი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლების სპეციფიკური ლაბორატორიული პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (PCR) კვლევის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.
- **75 ათასი ლარი** - ქ. თბილისის ქუჩების დამუშავება/დეზინფექცია (ე.წ. გამფრქვევის საშუალებით ცივი შესხურების სადეზინფექციო ხსნარებით).
- **56 ათასი ლარი** - უფასო სასადილოების ბენეფიციარებისათვის განკუთვნილი სადილის საცხოვრებელ მისამართზე მიწოდების მიზნით, მიკროავტობუსების მომსახურება.
- **16 ათასი ლარი** - ქალაქ თბილისის ქუჩების დამუშავება-მორეცხვისათვის, საყოფაცხოვრებო სარეცხი საშუალებების შეძენა.
- **1.16 მილიონი ლარი (საშუალოდ, ოჯახზე 64 ლარი)** - წინა საახალწლო პერიოდში 18 ათასი სოციალურად დაუცველი ოჯახისათვის, COVID-19-ით გამოწვეული სირთულეების გათვალისწინებით, საკვები პროდუქტების და პირბადეებით ერთჯერადი უზრუნველყოფა.

თბილისის სარეზერვო ფონდიდან, რიგით მეორე ყველაზე დიდი თანხა გამოიყო მოქალაქეთა სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად - 1,369,200 ლარი. მოქალაქეებზე სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად ერთჯერადად გაცემული დაფინანსების ოდენობა 400 ლარიდან 30,000 ლარამდე მერყეობს. ყველაზე დიდი 30,000 ლარის ოდენობის დაფინანსებები საზღვარგარეთ მკურნალობისთვის გაცემულია 11 პირზე.

შემდეგ კატეგორიას მიეკუთვნება უბედური შემთხვევის შედეგად (ხანძარი, ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად აფეთქება და სხვა) დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, დაზიანებული ლიფტების შეძენა-მონტაჟი და აღდგენა, დაზარალებული მოსახლეობის ქირის, სასტუმროსა და სხვა ხარჯები, რომლისთვისაც ჯამში 1,338,700 ლარი დაიხარჯა. მათ შორის ვაკის რაიონში თამარაშვილის ქუჩაზე ხის წაქცევის შედეგად დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრისთვის ანაზღაურდა მიყენებული მატერიალური ზარალი 33,000 ლარის ოდენობით. ასევე, სარეზერვო ფონდიდან ფინანსური დახმარების სახით, 500 ათასი ლარი მოხმარდა 2020 წლის 15 ივნისს, შპს „ვარკეთილი-96“-ის ტერიტორიაზე მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებულ მოვაჭრეებს. 227.8 ათასი ლარი გამოიყო თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიერ შესყიდული M2 კატეგორიის ავტობუსების დაზღვევისთვის.

თბილისის სარეზერვო ფონდიდან სატელევიზიო ანძის მინათების დაზიანებული პროჟექტორის აღსადგენად, შპს თბილსერვის ჯგუფისთვის გამოიყო 281.8 ათასი ლარი.

171.4 ათასი ლარი დაიხარჯა სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების მიერ მოხმარებული სასმელი წყლის ღირებულების დავალიანების დასაფარად. მოქალაქეთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების (სხვადასხვა ღონისძიება) ხარჯების ასანაზღაურებლად კი 101.8 ათასი ლარი გამოიყო.

შემდეგ კატეგორიას მიეკუთვნება მოქალაქეთა ფინანსური დახმარებისთვის გამოყოფილი თანხა 48.9 ათასი ლარის ოდენობით (ყველაზე მსხვილი ერთჯერადი დახმარება გამოიყო მოქალაქე ბ. დ.-თვის 30 ათასი ლარის ოდენობით). რიგით ყველაზე დაბალ ოდენობის კატეგორიები კი ასე ნაწილდება: 28.2 ათასი ლარი სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ღონისძიებების ხელშეწყობა. 11.6 ათასი ლარი 26 სასაჩუქრე კალათის შეძენა სხვადასხვა

კატეგორიის ბენეფიციარებისათვის. ხოლო, 3.5 ათასი ლარი გამოიყო მოქალაქე ნ.ძ. სწავლის დაფინანსების მიზნით.[1]



[1] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

2020 წელს თბილისის მერიის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების მოცულობა (6.2 მილიონი ლარი) დაახლოებით 1.6 მილიონი ლარით აღემატება 2019 წლის სარეზერვო ფონდიდან გაწეულ ხარჯებს (4.6 მილიონი ლარი). 2020 წელს სარეზერვო ფონდის ზრდის მიუხედავად, წინა წელთან შედარებით, 26%-ით შემცირდა მოქალაქეთა სამედიცინო ხარჯების ანაზღაურება, 33%-ით შემცირდა უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისთვის გაწეული ხარჯები, ხოლო 26%-ით შემცირდა მოქალაქეების ფინანსური დახმარება.

სარეზერვო ფონდის მნიშვნელოვანი ზრდის ფონზე, მსგავსი სოციალური ხარჯების შემცირება, სავარაუდოდ, უმეტესწილად განპირობებულია COVID-19 გამოწვეული სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებზე მნიშვნელოვანი თანხის 2.4 მილიონი ლარის მიმართვით.



ბათუმი

2020 წელს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ სარეზერვო ფონდიდან გამოყო 1,250,000 ლარი, საიდანაც ათვისებულია ჯამში 1,247,832 ლარი. ბათუმის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების 87% (1.09 მილიონი ლარი) მოხმარდა მოქალაქეთა მატერიალურ დახმარებებს. მათ შორის, ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების მიზნით დაიხარჯა 642 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი 446.5 ათასი ლარი მოხმარდა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარებას, ასევე ავარიულ სახლებში მცხოვრები მოქალაქეების და სარესტავრაციო სამუშაოების შეუფერხებლად ჩატარებისთვის ოჯახების დროებითი საცხოვრებლის უზრუნველყოფას.

სოციალურად დაუცველი და სხვა პირების მატერიალური დახმარებისთვის ერთჯერადად ყველაზე დიდი თანხა (201,068 ლარი) გამოიყო 2020 წლის 27 აგვისტოს. აღნიშნული გარემოება, შესაძლებელია უკავშირდებოდეს ბათუმის მუნიციპალიტეტში ამ პერიოდში პანდემიის მდგომარეობის გაუარესებას.

ბათუმის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან, დანარჩენი თანხა მოხმარდა საკარანტინე სივრცეებიდან მოქალაქეთა ტრანსპორტირებას (151.5 ათასი ლარი) და კორონავირუსით დაღუპული პირების დაკრძალვისათვის საჭირო სარიტუალო მომსახურებას (9.5 ათასი ლარი).



მიუხედავად კორონავირუსის პანდემიით შექმნილი მდგომარეობისა, 2020 წელს ბათუმის მერიის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯები 140 ათასი ლარით ნაკლებია 2019 წლის ხარჯზე (1.39 მილიონი) ლარი. 2019 წელსაც, ბათუმის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდების უდიდესი ნაწილი (93%) დახარჯულია ერთჯერად მატერიალურ დახმარებებზე.

რუსთავი

2020 წელს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ სარეზერვო ფონდიდან გამოყო 1.24 მილიონი ლარი, საიდანაც ათვისებულია ჯამში 1.18 მილიონი ლარი. 2020 წელს სარეზერვო ფონდის ხარჯების 67% (789.9 ათასი ლარი) დაკავშირებულია კორონავირუსის პანდემიასთან. რუსთავის მერიის მიერ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, ამ თანხიდან, 200 ათასი ლარი დახარჯულია კორონავირუსის პანდემიის პირობებში მოქალაქეთა სურსათით დახმარებისთვის, 43.7 ათასი ლარი მოხმარდა კორონავირუსის გავრცელების გამო შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით მოსახლეობისათვის საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფას, ხოლო 5.2 ათასი ლარი - სკოლის მოსწავლეებისათვის

დისტანციური განათლების მიღების ხელშესაწყობად ინტერნეტის გადასახადის დაფარვას. კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული დანარჩენი 541 ათასი ლარის შემთხვევაში, მითითებულია, რომ დაიხარჯა კორონავირუსის შემოტანისა და გავრცელების პრევენციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, თუმცა კონკრეტულად რა სახის ღონისძიებები დაფინანსდა არ არის განმარტებული.

კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული ხარჯების გარდა, რუსთავის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან 324.3 ათასი ლარი მოხმარდა მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურებას, 53.3 ათასი ლარი სხვადასხვა ტიპის მატერიალურ დახმარებებს, მათ შორის ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარებას და სხვ.

სამედიცინო მომსახურების დაფინანსების თვალსაზრისით, სარეზერვო ფონდიდან ერთჯერადად გამოყოფილი თანხები უმეტესწილად 100 ლარიდან 2000 ლარამდე მერყეობს. მხოლოდ სამ შემთხვევაში ამ მიზნით გამოყოფილი თანხა აღემატება 2,000 ლარს. კერძოდ, ერთ შემთხვევაში სამედიცინო მომსახურება დაფინანსდა 10,000 ლარით, მეორე შემთხვევაში მედიკამენტების ღირებულება ანაზღაურდა 6,000 ლარით, ხოლო მესამე შემთხვევაში სამედიცო მომსახურება - 4,000 ლარით.



2019 წელს, რუსთავის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯები შეადგენდა 344.2 ათას ლარს. შესაბამისად, 2020 წელს რუსთავის სარეზერვო ფონდი გაიზარდა 836 ათასი ლარით, რაც როგორც ზემოთ გამოჩნდა უმეტესწილად კორონავირუსის პანდემიის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებზე დაიხარჯა.

ქუთაისი

2020 წელს ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სარეზერვო ფონდისთვის გათვალისწინებული იყო 640 ათასი ლარი, საიდანაც დაიხარჯა 624.3 ათასი ლარი. აღნიშნული თანხის დაახლოებით 90% (555.9 ათასი ლარი) მოხმარდა მოქალაქეთა მატერიალურ დახმარებას.

ბიუჯეტის ანგარიშის მიხედვით, კორონავირუსის (Covid-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, სარეზერვო ფონდიდან დაიხარჯა 38.3 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი 30 ათასი ლარიდან 25.4 ათასი ლარი მოხმარდა საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავისთვის საჭირო მასალების შესყიდვას.



2019 წელს ქუთაისის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 586.5 ათასი ლარი. შესაბამისად, 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, სარეზერვო ფონდის ხარჯი გაზრდილია დაახლოებით 6%-ით. 2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშში, სამწუხაროდ, ასახული არ არის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების მიზნობრიობა, შესაბამისად, ამ კუთხით წინა წელთან შედარებითი ანალიზის განხორციელება ვერ ხერხდება.

სხვა მუნიციპალიტეტების სარეზერვო ფონდების ხარჯვის მიმოხილვა

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშების და მიღებული საჯარო ინფორმაციის ანალიზის შედეგად, IDFI-მ დამატებით შეძლო 50 მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან 2020 წელს გაწეული ხარჯების შესახებ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ინფორმაციის მოძიება, რომლის საერთო ოდენობა შეადგენს 5.45 მილიონ ლარს.

ამ თანხიდან, ყველაზე მეტი გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიამ დახარჯა - 470.2 ათასი ლარი. ამ მხრივ მეორე ადგილს მარნეულის მუნიციპალიტეტი იკავებს - 423.4 ათასი ლარით. ხოლო მესამე ადგილზეა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - 379.3 ათასი ლარით.



მუნიციპალიტეტების 2020 წლების დამტკიცებული ბიუჯეტების და მათი შესრულების ანგარიშების შესწავლით ირკვევა, რომ სარეზერვო ფონდების განკარგვის შესახებ ინფორმაციის საბიუჯეტო დოკუმენტაციაში სრულყოფილი ასახვა მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მსგავსი პრობლემა უმეტესწილად უკავშირდება ბიუჯეტში სარეზერვო ფონდის ასიგნებიდან სხვა პროგრამულ კოდებზე თანხის გადატანის შემთხვევებს.

მუნიციპალიტეტების მიერ სარეზერვო ფონდების განკარგვასთან დაკავშირებით დადგენილ წესებში ხშირ შემთხვევაში ვხვდებით ჩანაწერს, რომლის მიხედვით სარეზერვო ფონდიდან აკრძალულია ისეთი პროგრამების, ქვეპროგრამების და ღონისძიებებისათვის თანხის

გამოყოფა, რომელიც გათვალისწინებულია ადგილობრივი ბიუჯეტით. შესაბამისად, კონკრეტული პროგრამის მიმართულებაზე სარეზერვო ფონდის გამოყენება მოითხოვს სხვა ასიგნებაზე თანხის გადატანას. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პრიორიტეტებს შორის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ დამტკიცებულ წლიურ ბიუჯეტში ცვლილების შეტანით. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება სარეზერვო ფონდის მუხლით გამოყოფილ ასიგნებაზე, რომელიც ადგილობრივი წესების მიხედვით, მერის ბრძანების საფუძველზე, ზუსტდება ბიუჯეტის სხვა მიზნით მორიგი ცვლილებისას.

ადგილობრივი თვითმმართველობები სარეზერვო ფონდიდან სხვა საბიუჯეტო პროგრამაზე თანხის მიმართვის შემთხვევებს არაერთგვაროვნად ასახავენ საბიუჯეტო დოკუმენტაციაში, რაც მნიშვნელოვნად ართულებს სარეზერვო ფონდების დაგეგმვის, დაზუსტების და შესრულების პოლიტიკის ანალიზს. მაგალითად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის გეგმით, სარეზერვო ფონდისთვის გამოყოფილი იყო 250 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა დაზუსტდა 7.1 ათას ლარამდე, ხოლო სარეზერვო ფონდის პროგრამული კოდით, 2020 წლის ფაქტობრივად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 0 ლარი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის, ასევე 2020 წლის საგარეჯოს ბიუჯეტის შესრულების ნარატიული ანგარიშის მიხედვით, სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 298.8 ლარის ხარჯი. შესაბამისად, წლის განმავლობაში სარეზერვო ფონდის რესურსი მიმართული იყო ბიუჯეტის სხვა პროგრამულ კოდებზე, რომელიც აღარ აისახა დაზუსტებულ და ფაქტობრივად ათვისებულ მაჩვენებელში. მარნეულის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, სარეზერვო ფონდის საწყისი გეგმა შეადგენდა 150 ათას ლარს, რომელიც მოგვიანებით დაზუსტდა 464 ათას ლარამდე. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, სარეზერვო ფონდის რესურსი ათვისებულია სხვადასხვა საბიუჯეტო პროგრამის კოდებზე თანხების მიმართვით. მიუხედავად ამისა, მარნეულის საბიუჯეტო დოკუმენტაციაში მითითებულია რომ, სარეზერვო ფონდის პროგრამული კოდით 2020 წლის ფაქტობრივად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 423.4 ათასი ლარი.

სარეზერვო ფონდების განკარგვასთან დაკავშირებული ინფორმაციის არაერთგვაროვანი აღრიცხვის პრაქტიკა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 2020 წელს, როდესაც ცალკეული მუნიციპალიტეტების მიერ პანდემიის ფარგლებში შეიქმნა ახალი საბიუჯეტო, საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული ღონისძიებების უზრუნველყოფის პროგრამა, სადაც თანხების გარკვეული ნაწილი მიემართა სარეზერვო ფონდის ასიგნებიდან.

ყველაზე დიდი მუნიციპალური სარეზერვო ფონდების გეგმიური მაჩვენებლები (ათასი ლარი)

	გეგმა	**დაზუსტება**	**სარეზერვო ფონდის რესურსით გაწეული ხარჯი**
გარდაბანი	140.0	540.0	470.2*
მარნეული	150.0	464.0	423.4
ხელვაჩაური	310.0	391.9	379.3

ოზურგეთი	350.0	350.0	332.0
საგარეჯო	250.0	7.1	298.8
ბორჯომი	200.0	4.3	296.8*
თელავი	100.0	3.2	296.1
ახმეტა	120.0	280.0	273.4
მესტია	200.0	249.6	244.8
ქობულეთი	150.0	310.0	226.8*

***მონაცემები არ ფარავს სრულ წელს**

სარეზერვო ფონდების რესურსის ათვისების არასისტემატიზირებულმა აღრიცხვამ ხელი შეუწყო ცალკეული მუნიციპალიტეტების მაგალითზე ურთიერთგამომრიცხავი მონაცემების ხელმისაწვდომობას. მაგალითად, გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის ბიუჯეტის გეგმით სარეზერვო ფონდისთვის გათვალისწინებული იყო 181.9 ათასი ლარი, რომელიც მოგვიანებით დაზუსტდა 58.4 ათას ლარამდე. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულების მიხედვით, სარეზერვო ფონდიდან თანხები არ დახარჯულა. იმავე დოკუმენტში ვხვდებით ჩანაწერს რომლის მიხედვით, მერის ბრძანებით სარეზერვო ფონდიდან 31 იანვარს და 10 ივნისს სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის გამოიყო ჯამში 14.3 ათასი ლარი. ამასთან, 2020 წლის 19 ოქტომბერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ IDFI-ს საჯარო ინფორმაციის პასუხად აცნობა, რომ 2020 წელს სარეზერვო ფონდიდან ხარჯები არ გაწეულა. აღნიშნული მონაცემების ფონზე, გორის მუნიციპალიტეტის მერი მედიასთან საუბრისას აღნიშნავდა, რომ მერიის სარეზერვო ფონდიდან პანდემიასთან საბრძოლველად 200 ათასი ლარი მიმართა.

01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	1,101.1	8,0	1 093,1	910,5	8,0	902,5
	ხარჯები	680.2	8,0	672,2	548,1	8,0	540,1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	58.4	0,0	58,4	0,0	0,0	
	ვალდებულებების კლება	362.5	0,0	362,5	362,4	0,0	362,4
01 02 01	სარეზერვო ფონდი	58.4	0,0	58,4	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	58.4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	წინა წლებში წარმოქმნილი						

ამონარიდი გორის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტის მერის 31 იანვრის №819-ს ბრძანებით და 10 ივნისის №3477-ს ბრძანებით განხორციელდა სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება. კერძოთ: სოფელ ორმოცში ხანძრის სალიკვიდაციო მომსახურების ანაზღაურება 3 600 ლარის ოდენობით და ქ. გორში სტალინის ქუჩაზე მდებარე №1 საცხოვრებელი კორპუსის დაზიანებული სახურავის რეაბილიტაცია 10 704 ლარის ოდენობით.

ამონარიდი გორის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან

გორის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **20-202029081**
თარიღი: **19/10/2020**
პინი: **4519**

მისამართი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) აღმასრულებელ დირექტორს ბატონ გიორგი კლდიაშვილს
ელ.ფოსტა: თბილისი. ტ. შევჩენკოს 20 ; foi@idfi.ge

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ბატონო გიორგი,

თქვენი განცხადების პასუხად (№FOI09/20-063, 09.09.2020, მერიის რეგ. №20162, 14.09.2020) წარმოგიდგენთ ინფორმაციას პუნქტობრივად და განგიმარტავთ:

7. გორის მუნიციპალიტეტის მერიას ტანამდებობის პირებზე გაპიროვნებული 2 ავტომობილი აქვს. მათგან TOYOTA CAMRY-ის წვის საშუალო მაჩვენებელი 9-12 ლიტრია 100 კმ-ზე, ხოლო TOYOTA PRADO-სი- 16-20 ლიტრი. აღნიშნული ავტომობილების მიერ გავლილი კილომეტრაჟის აღრიცხვა არ წარმოებს;

8. გორის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ხარჯებიდან 2020 წელს თანხა არ გახარჯულა;

გორის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხი 2020 წელს სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების შესახებ IDFI-ს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე

"პანდემიის პერიოდში თანხების გადატანა სარეზერვო ფონდიდან მოხდა, 200 000 ლარი გადავიტანეთ. სპეციალური, ორგანიზაციული კოდი შეიქმნა ამ პანდემიასთან დაკავშირებით და იქ იყო ეს თანხა, მაგრამ მთლიანად არ დახარჯულა, რამდენადაც ვიცი 100 000 ლარია დარჩენილი კიდევ და თუ მოითხოვა სიტუაციამ მეორე ტალღის შემთხვევაში, ამ დარჩენილ თანხასაც ითვისებს მუნიციპალიტეტი. ამაში საკრებულო აღარ სჭირდება მერიას, შეუძლია ბრძანებით გადაიტანოს სარეზერვო თანხა, საგანგებო სიტუაცია აძლევს ამის უფლებას", - თქვა დავი რაზმაძემ

ამონარიდი გორის მერის ინტერვიუდამ 2020 წლის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, სარეზერვო ფონდიდან სულ გამოიყო 7.9 ათასი ლარი, საიდანაც 5 ათასი ლარი გადატანილ იქნა საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივ კოდზე, ხოლო 2.9 თასი ლარი - მერიის ორგანიზაციის პროგრამულ კოდზე, მგლისა და ტურის რაოდენობის რეგულირების ღონისძიების მიზნით. მერის სარეზერვო ფონდიდან თანხების ბიუჯეტის სხვა პროგრამულ კოდებზე გადატანის გათვალისწინებით, სარეზერვო ფონდის გეგმიური მაჩვენებელი 30 ათასი ლარიდან დაზუსტდა 22 ათას ლარამდე, საიდანაც ანგარიშის მიხედვით, ხარჯები აღარ გაწეულა. IDFI-ის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის პასუხად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სარეზერვო ფონდის განკარგვის სრულიად განსხვავებული ხარჯთაღრიცხვაა მოწოდებული. კერძოდ, 2020 წლის 22 სექტემბერს მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სარეზერვო ფონდიდან უკვე დახარჯული იყო 54,054 ლარი. საიდანაც ზემოთ ხსენებული ხარჯების გარდა, 46,109 ლარი დაიხარჯა პანდემიის დროს სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებაზე. მათ შორის: 32,500 ლარი - სხვადასხვა საკვები პროდუქტები, 7,495 -სადიზენფექციო საშუალებები, ბიო ტუალეტების მომსახურება - 3,354 ლარი და სხვა.

სარეზერვო ფონდის (პროგრამული კოდი 01 02 01) გეგმა 2020 წლის ბიუჯეტში განისაზღვრებოდა 30.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 7.9 ათასი ლარი, აქედან წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის 11.03.2020წ N2-1/107 და 24.03.2020 წ N2-1/126 ბრძანებით 5.0 ათასი ლარი გადატანილ იქნა 01 02 06 საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი პროგრამის კოდზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად შენობა ნაგებობების, სპეციალური სადეზინფექციო საშუალებებით დამუშავების მომსახურების შესყიდვის მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის 01.07.2020წ N2-1/272 ბრძანებით 2.9 ათასი ლარი გადატანილ იქნა 01 01 02 მუნიციპალიტეტის მერიის ორგ. კოდზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლისა და ტურას რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების მიზნით.

პროგ.კოდი	დასახელება	დამტკიცებული	ცვლილება 1	სხვაობა (+/-)	ცვლილება 2	სხვაობა (+/-)	სულ სხვაობა (+/-)	საფუძველი
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	1994.9	1994.9	0	1997.8	2.9	2.9	1) მერის ბრძანება #2-1/272 01.07.2020წ
01 02 01	სარეზერვო ფონდი	30	25	-5.0	22.1	-2.9	-7.9	მერის ბრძანება #2-1/107 #2-1/126 #2-1/272

ორგ.კოდი	დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	შესრულების %
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი**	**3139.2**	**3010.0**	**96%**
01 01 01	**მუნიციპალიტეტის საკრებულო**	663.0	676.48	**102%**
01 01 02	**მუნიციპალიტეტის მერია**	1964.8	1894.2	**96%**
01 01 03	**სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური**	100.4	93.2	**93%**
01 01 04	**მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება**	15.0	14.6	**97%**
01 02 01	**სარეზერვო ფონდი**	22.0	0	**0%**

- 2020 წელს სარეზერვო ფონდიდან გახარჯული თანხების ჩამონათვალი:

1) დეზინფექციასთან დაკავშირებულ მომსახურებებზე გამოიყო და გაიხარჯა 4995 (ოთხიათასცხრაასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი. აღნიშნული თანხები გაიხარჯა საჯარო სკოლების, საბავშვო ბაღების, საჯარო დაწესებულების შენობების ანტისეპტიკური ხსნარით დამუშავებაზე.
2) ნადირობასთან დაკავშირებული მომსახურებისთვის გამოიყო 2950 (ორიათასცხრაასორმოცდაათი) ლარი. ბუნებიდან მგლის და ტურის ამოღების მომსახურებაზე გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.
3) კორონა ვირუსის პანდემიის დროს დაფინანსებული ღონისძიებები:
ა) შენობა ნაგებობების სადეზინფექციო სამუშაოები - 4995 ლარი
ბ) ერთჯერადი ხელთათმანები - 480 ლარი
გ) სადეზინფექციო საშუალებები - 2500 ლარი
დ) დისტანციური თერმომეტრები - 2280 ლარი
ე) სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტები - 32500

ვ) ბიო ტუალეტის მომსახურება - 3354 ლარი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2020 წლის 22 სექტემბერს მოწოდებული ინფორმაცია სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების შესახებ.

კორონავირუსის პანდემიის პირობებში, მუნიციპალიტეტებში მაცხოვრებლების წინაშე არსებული გამოწვევების ფონზე, მნიშვნელოვან პრობლემად უნდა შეფასდეს მთელი რიგი მუნიციპალიტეტების სარეზერვო ფონდების ათვისების დაბალი მაჩვენებლები. მაგალითად, მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2020 წლის ბიუჯეტის გეგმით, სარეზერვო ფონდისთვის გათვალისწინებული იყო 280 ათასი ლარი, რომელიც მოგვიანებით დაზუსტდა 200 ლარამდე, საიდანაც თანხები საერთოდ არ გახარჯულა. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდი დაგეგმილი იყო 150 ათასი ლარით, რომელიც მოგვიანებით დაზუსტდა 145 ათას ლარამდე, რომელიც დარჩა აუთვისებელი. ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელსა და დაზუსტებულ მაჩვენებელს შორის არსებული სხვაობა, სავარაუდოდ, მიმართული იყო ბიუჯეტის სხვა ასიგნებაზე.

ნულოვანი ხარჯების მქონე სარეზერვო ფონდების გეგმიური მაჩვენებლები (ათასი ლარი)			
	გეგმა	**დაზუსტება**	**ფაქტი**
მცხეთა	280.0	200.0	0
სამტრედია	150.0	145.0	0

მუნიციპალიტეტთა სარეზერვო ფონდების ხარჯვის კატეგორიები

2020 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტთა (თბილისის, ბათუმის, ქუთაისის და რუსთავის გარდა) სარეზერვო ფონდებიდან გაწეული ხარჯების ყველაზე დიდი წილი - 28% (1.54 მილიონი ლარი) მოხმარდა კოვიდ-19 პანდემიის ბრძოლის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებას. მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლების მატერიალურ დახმარებაზე (სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, ერთჯერადი ფინანსური დახმარება, საკვები პროდუქტებით და სამშენებლო მასალებით დახმარება და სხვა) დაიხარჯა 1.24 მილიონი ლარი (23%). სტიქიის ან სხვა უბედური შემთხვევების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებისთვის გამოყოფილმა თანხებმა - 747,188 ლარი (14%) შეადგინა. ხოლო სხვადასხვა კაპიტალური ხარჯებისათვის სარეზერვო ფონდებიდან 425,416 ლარი დაიხარჯა (8%).

33.9 ათასი ლარი გამოიყო ისეთი ხარჯებისთვის, რომლებიც ზემოთ ხსენებულ კატეგორიებს არ მიესადაგება. მაგალითად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ სახნავ-სათესი ფართობის დამუშავებისთვის გამოყო 15 ათასი ლარი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიამ წიგნის „დმანისის ნაქალაქარი" 100 ეგზემპლარის დამზადებისთვის სარეზერვო ფონდიდან გამოყო 2.5 ათასი ლარი, ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიამ ევროპის რეგიონთა ასამბლეას 2020 წლის საწევროს შენატანისთვის 880 ლარი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საერთო ხარჯების დანარჩენი 27%-ის (1.46 მილიონი ლარი) შემთხვევაში მიზნობრიობა სრულიად უცნობია.



კოვიდ-19 პანდემიასთან ბრძოლისთვის გამოყოფილი თანხები

2020 წელს სარეზერვო ფონდებიდან ჯამში დახარჯული თანხის 23% კოვიდ-19 პანდემიასთან ბრძოლისთვის გამოიყო. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის განმავლობაში სარეზერვო ფონდებიდან კოვიდ-19 პანდემიასთან ბრძოლისთვის თანხა სულ 26-მა მერიამ გამოყო. ამასთან, სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით ყველაზე მეტი თანხა, გარდაბნის და მარნეულის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო.



კოვიდ-19 პანდემიასთან ბრძოლისთვის გამოყოფილი თანხების 65% პანდემიისგან დაზარალებული მოსახლეობის დახმარებას მოხმარდა. მაგალითად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან, პანდემიასთან დაკავშირებით 253.7 ათასი ლარი სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების დახმარებისთვის გამოიყო, მარნეულის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან პანდემიასთან დაკავშირებით მოსახლეობისათვის სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების შეძენაზე 243.6 ათასი ლარი დაიხარჯა, კასპის მუნიციპალიტეტის მიერ - 100 ათასი ლარი, ხოლო თელავის მუნიციპალიტეტის მიერ - 90 ათასი ლარი.

პანდემიასთან დაკავშირებული ხარჯებიდან 11% (164,479 ლარი) მოხმარდა სადეზინფექციო და პირადი დაცვის ინვენტარის შეძენას. მაგალითად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიამ მოსახლეობის ვირუსისგან დამცავი საშუალებების შესყიდვაზე დახარჯა 52.3 ათასი ლარი. ხოლო, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიამ სადიზენფექციო საშუალებებისთვის და სხვადასხვა სადეზინფექციო ღონისძიებებზე დახარჯა 22.8 ათასი ლარი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ სარეზერვო ფონდიდან მსგავსი მიზნებისთვის დახარჯა 15.5 ათასი ლარი. მათ შორის, შენობა-ნაგებობების დეზინფექცია 12.6 ათასი ლარი, უკონტაქტო თერმომეტრები 1.9 ათასი ლარი, ხოლო სხვადასხვა თავშეყრის ადგილი სადეზინფექციო დამუშავებისთვის 900 ლარი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიამ საჯარო სკოლების, საბავშვო ბაღების, საჯარო დაწესებულების შენობების ანტისეპტიკური ხსნარით დამუშავებაზე გამოყო 4,995 ლარი, ხოლო ონის მუნიციპალიტეტმა მხოლოდ მერიის და საკრებულოს შენობების სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებისთვის 2,750 ლარი.

ონის მუნიციპალიტეტის მერიამ ასევე 2,500.00 ლარი გამოყო ონის ცენტრალური ქუჩებისა და მოედნების სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების მიზნით, ხოლო ამბროლაურის მერიამ ქუჩებისა და ტროტუარების სადეზინფექციო საშუალებებით დამუშავებას 300 ლარი მოახმარა.

სარეზერვო ფონდებიდან საკარანტინე სივრცეებთან დაკავშირებით, დახარჯულია 103.9 ათასი ლარი. მათ შორის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ ანაკლია განმუხურის საკარანტინო ზონიდან სავალდებულო იზოლაციის პროცედურა გავლილი მოქალაქეების საცხოვრებელ ადგილებზე გადაყვანის სატრანსპორტო მომსახურების ღირებულების ანაზღაურების მიზნით გამოყო 22.5 ათასი ლარი, საკარანტინე ზონებიდან გამოწერილი დევნილი მოსახლეობის საცხოვრებლით უზრუნველყოფისთვის 11.4 ათასი ლარი. ასევე, რუხის საუნივერსიტეტო კლინიკის პერსონალისა და პაციენტებისათვის ორი კვირის განმავლობაში საკვებით უზრუნველყოფისათვის 11.4 ათასი ლარი. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიამ კარანტინში მყოფი მოქალაქეების სასტუმროს ხარჯებისთვის 6.8 ათასი ლარი, მარნეულის მუნიციპალიტეტში ჩარჩენილი მოქალაქეების ტრანსპორტირებაზე - 20.5 ათასი ლარი, ხოლო საველე ჰოსპიტალებისთვის 3.5 ათასი ლარი. დუშეთის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან საკარანტინო რეჟიმში მყოფი პირების ტრანსპორტით მომსახურებაზე 9.9 ათასი ლარი დაიხარჯა. გურჯაანის მერიამ საკარანტინო ზონებისათვის (კაჭრეთის, ამბასადორის და ახაშნის სასტუმროს) პირველადი საჭიროების მედიკამენტების შეძენაზე 979 ლარი გამოყო, ხოლო ამბროლაურის მერიამ საკარანტინო სივრცის სრულ აღჭურვას 500 ლარი მოახმარა.

პანდემიის ფარგლებში, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მიერ სარეზერვო ფონდიდან გაწეულმა სხვა ხარჯებმა შეადგინა 22.2 ათასი ლარი. მაგალითად, თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ სოფლის ამბულატორიების მიერ მოსახლეობასთან ინტერნეტით შეუფერხებელი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად დახარჯა 3.9 ათასი ლარი. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ პანდემიის ფარგლებში გაწეული საქმიანობისათვის, ერთ-ერთი ექიმის დაჯილდოების მიზნით გამოყო 1,175 ლარი.



ფინანსური დახმარებისთვის გამოყოფილი თანხები

2020 წელს სარეზერვო ფონდებიდან 48 მუნიციპალიტეტის მიერ დახარჯული თანხის დაახლოებით 23% - 1.26 მილიონი ლარი ფინანსურ დახმარებას მოხმარდა. აღნიშნული თანხა მოიცავს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირებისთვის ფინანსური დახმარების გაწევას, ფინანსური შემწეობის გადაცემის თუ მათი სხვა საჭიროებების დაფინანსების გზით, მაგალითად სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, კომუნალური გადასახადების დაფარვის პროცესში დახმარება, საკვები პროდუქტებით და სამშენებლო მასალებით დახმარება და სხვა. აღნიშნულ კატეგორია არ მოიცავს, ისეთ ფინანსურ დახმარებებს, სადაც მითითებული იყო რომ სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაიცა პანდემიის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში ან/და სტიქიური უბედურების შედეგად დამდგარი ზარალის ანაზღაურების მიზნით.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის განმავლობაში სარეზერვო ფონდებიდან მსგავს ფინანსურ დახმარებაზე თანხა სულ 30-მა მერიამ გამოყო. ამასთან, სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, ფინანსურ დახმარებებზე ყველაზე მეტი თანხა, 287.7 ათასი ლარი ოზურგეთის მერიის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო. ამ თანხის დიდი ნაწილი, 127.6 ათასი ლარი სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებაზე დაიხარჯა, 89.7 ათასი ლარი ჩაირიცხა მოქალაქეების პირად ანგარიშებზე, 37.9 ათასი ლარი - მედიკამენტების შესაძენად, ხოლო 31.9 ათასი ლარი - სარიტუალო ხარჯების დახმარებისთვის.



მოწოდებული დოკუმენტების საფუძველზე 30 მუნიციპალიტეტის მერიიდან, რომლებმაც სარეზერვო ფონდებიდან ფინანსურ დახმარებაზე გაწია ხარჯები, ზოგ შემთხვევაში არ იკვეთება ფინანსური დახმარების მიზნობრიობა. კერძოდ, არ არის მითითებული, კონკრეტულად რა საჭიროებისათვის გაიცა აღნიშნული დახმარება და ხარჯვის ნაწილს მხოლოდ შაბლონური კატეგორია აქვს მინიჭებული. მაგალითად, ვანის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2020 წელს (საწყის 9 თვეში) სარეზერვო ფონდიდან სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაიცა 97.5 ათასი ლარი, თუმცა ვინ იყო დახმარების ბენეფიციარი და რა იყო მსგავსი დახმარების გაცემის საფუძველი უცნობია.

იმ მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, სადაც მითითებულია ფინანსური დახმარებების მიზნობრიობა, ყველაზე დიდი დახმარება გაიცა სამედიცინო მომსახურების დაფინასებისთვის და მოსახლეობის კვებითი პროდუქტებით დახმარებებზე. მაგალითად, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ საზღვარგარეთ ჩასატარებელი გამოკვლევების დაფინანსებისთვის გამოყო 7.2 ათასი ლარი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერია საზღვარგარეთ მკურნალობისთვის კონკრეტული პირისთვის გამოყო 5 ათასი ლარი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიამ დააფინანსა 5 ონკოლოგიური და C ჰეპატიტით დაავადებული პირი თითოეული 1,500 ლარის ოდენობით.

ცალკეული მუნიციპალიტეტების მაგალითზე, ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ფინანსური დახმარება გაიცა განსხვავებული მიზნებისთვის. მაგალითად, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიამ გერმანიაში გრანდ სლემის ტურნირზე ძიუდოისტის მონაწილეობის მისაღებად და მისი პირადი მწვრთნელის გასამგზავრებლად გამოყო ერთჯერადი ფინანსური დახმარება 4 ათასი ლარი, ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიამ სარეზერვო ფონდიდან ქალაქ ბარსელონაში პიანისტთა 66-ე საერთაშორისო კონკურსზე მონაწილის ერთჯერადი ფინანსური დახმარებისათვის გამოყო 1,930 ლარი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიამ სოციალურად დაუცველი ობოლი სტუდენტების სწავლის დაფინანსებისთვის - 2,250 ლარი, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ სოფ. დოლასქედში და სოფ. დავითურნში მცხოვრები ორი პირისთვის 1.4 ათას ლარად შეისყიდა მზის მინის სისტემა.

სტიქიის ან სხვა უბედური შემთხვევების შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გამოყოფილი თანხები

მუნიციპალიტეტთა მერიებმა ფინანსური დახმარებებისა და კოვიდ-19 პანდემიასთან ბრძოლის შემდეგ სარეზერვო ფონდებიდან ყველაზე მეტი თანხა, 747.2 ათასი ლარი სტიქიის ან სხვა უბედური შემთხვევების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებასა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარებას დაუთმეს. აღიშნული ხარჯი სულ 22-მა მუნიციპალიტეტმა გამოყო, საიდანაც 67% ფიზიკური პირებისათვის ზიანის ანაზღაურებას ან შესაბამისი სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებას, 33% კი საზოგადოებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილი ადგილების რეაბილიტაციას მოხმარდა.


2020 წელს სარეზერვო ფონდებიდან სტიქიის ან სხვა უბედური შემთხვევების შედეგების აღმოფხრის მიზნით გამოყოფილი თანხები
ქობულეთი
178 686.13 ₾
ახმეტა
146 524.00 ₾
თელავი
111 923.30 ₾
საჩხერე
76 260.48 ₾
გარდაბანი
40 300.00 ₾
მარნეული
36 900.00 ₾
ცაგერი
32 700.00 ₾
დედოფლისწყარო
32 500.00 ₾
დმანისი
24 170.00 ₾
ხულო
15 600.00 ₾

კაპიტალური სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხები

სტიქიური ან სხვა უბედური შემთხვევების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის მიზნით ჩატარებული კაპიტალური სამუშაოების გარდა, 2020 წელს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან ასევე, დაფინანსებულია პროექტები, რომლებზეც მითითებული მიზნობრიობიდან არ იკვეთება ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მისი გათვალისწინების შეუძლებლობა და შესაბამისად, სარეზერვო ფონდიდან მისი დაფინანსების აუცილებლობა.

კვლევის ფარგლებში დამუშავებული დოკუმენტაციის მიხედვით, მსგავსი კატეგორიის ხარჯები სულ გაწეულია 19 მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, რომელთა საერთო ოდენობა 425.4 ათას ლარს შეადგენს. მათ შორის ყველაზე დიდი თანხა 196.2 ათასი ლარი გამოყოფილია მესტიის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან. კერძოდ, გზის მიმდინარე შეკეთების ხარჯისთვის დაიხარჯა 78 ათასი ლარი, სოფელ მულახში გზის საყრდენი კედლის მშენებლობისთვის 56.5 ათასი ლარი, ხოლო ღელეების განტვირთვის სამუშაოებისთვის 61.8 ათასი ლარი.

ქალაქ ზუგდიდის მერიამ ადმინისტრაციული შენობის ელ. მომარაგების გაუმჯობესების მიზნით 14,000 ლარი დახარჯა. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიამ სოფელ იფნარის და მამულოს სარიტუალო დარბაზებისათვის მასალების შესაძენად 10.8 ათასი ლარი.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიამ სარეზერვო ფონდიდან სოფელ ფაბაგრების დაზიანებული ხიდის აღსადგენად გამოყო 25.4 ათასი ლარი, ხოლო სოფელ კაცხში მდინარე კაცხურაზე დაზიანებული ხიდის აღდგენითი სამუშაოებისთვის - 21,804.00 ლარი. ასევე ჭიათურაში მერიამ გიორგაძის ქ. N6-ში საცხოვრებელი კორპუსის საძირკვლის გეოლოკაციური კვლევების ჩასატარებლად 18,250.00 ლარი.

დუშეთში მუნიციპალიტეტის მერიამ ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ბიო ტუალეტების განსათავსებლად - 4,500 ლარი



დასკვნა

2020 წელს მუნიციპალიტეტების მიერ სარეზერვო ფონდებიდან გაწეული ხარჯების ანალიზმა აჩვენა, რომ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, სარეზერვო ფონდების ოდენობის განსაზღვრის და მისი ათვისების პრაქტიკა განსხვავებულია.

ცალკეული მუნიციპალიტეტები გაწევენ ისეთ ხარჯებს, რომელთა სარეზერვო ფონდიდან დაფინანსების აუცილებლობა კითხვის ნიშნებს აჩენს, ხოლო ცალკეული მუნიციპალიტეტები საერთოდ ვერ ახდენენ სარეზერვო ფონდში გათვალისწინებული სახსრების ათვისებას. სარეზერვო ფონდის მინიმალური ათვისება, განსაკუთრებით პრობლემურად შესაძლებელია შეფასდეს 2020 წელს, კორონავირუსის პანდემიით შექმნილი მდგომარეობის პირობებში.

მუნიციპალიტეტების მიერ სარეზერვო ფონდების განკარგვის არაერთგვაროვან პრაქტიკაზე ნათლად მეტყველებს, 2020 წელს პანდემიასთან საბრძოლველად თანხების გამოყოფის პრაქტიკა. მაგალითად, უშუალოდ პანდემიის ბრძოლის ფარგლებში სარეზერვო ფონდიდან თანხა მხოლოდ 26-მა მერიამ გამოყო. ამასთან, მუნიციპალიტეტების მიერ თანხის გამოყოფის პრაქტიკა ნაკლებად კავშირშია კონკრეტული მუნიციპალიტეტში არსებულ ეპიდემიოლოგიურ სიტუაციასთან. მაგალითად, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, სადაც ყველაზე მეტად იყო გართულებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა 2020 წელს წინა წელთან შედარებით შეამცირა სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯები. ონის მუნიციპალიტეტის მერიამ, სადაც ვირუსის გავრცელების მხრივ მნიშვნელოვანი სირთულეები არ შეინიშნებოდა, სარეზერვო ფონდიდან თანხა გამოყო ცენტრალური ქუჩებისა და მოედნების სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების მიზნით.

მნიშვნელოვან პრობლემად შესაძლებელია შეფასდეს სარეზერვო ფონდის განკარგვასთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობის არასრულფასოვანი რეგულაციები, რაც ქმნის ფინანსების არამიზნობრივი გამოყენებისა და საბიუჯეტო სახსრების დაუსაბუთებელი ხარჯვის რისკებს. ასევე, განსაკუთრებით პრობლემურია მთელი რიგი მუნიციპალიტეტების მიერ სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციის საბიუჯეტო დოკუმენტაციაში არაერთგვაროვანი აღრიცხვის პრაქტიკა და ცალკეული მუნიციპალიტეტების მიერ სარეზერვო ფონდების განკარგვის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი მონაცემების გასაჯაროება.

სარეზერვო ფონდების განკარგვის გამჭვირვალე პროცესს, ასევე მნიშვნელოვნად აფერხებს მთელი რიგი მუნიციპალიტეტების მიერ სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაციის გასაჯაროებისგან თავის შეკავება. მაგალითად, სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების უდიდესი ნაწილი მიმართულია მოქალაქეთა ფინანსურ დახმარებებზე. აღნიშნული პროცესის გაუმჭვირვალე წარმართვა, მნიშვნელოვან რისკებს აჩენს საბიუჯეტო სახსრების არასამართლიანი განაწილების თვალსაზრისით.